ხელშეკრულება №GAM031
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 1 მარტი 2016 წელი

შემსყიდველი: შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო" მისი დირექტორის ჯონდო ჯანაშიას სახით
მისამართი: ქ. თბილისი, ჩიქოვანის#14, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 204871594

მიმწოდებელი: შპ.ს. „ჯობს.გე", მისი დირექტორის, ალექსანდრე ხუბულავას სახით
მისამართი, ტელეფონი: თბილისი, 0160, ატენის ქ. №20 ბინა 31; ტელ: 577 46 91 97
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი; კოდი: TBCBGE22; ანგარიშის № GE23TB0600000107467123
საიდენტიფიკაციო კოდი: 205035282

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მომსახურების შესყიდვა.
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ მომსახურებას წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ თავის ვებ გვერდზე www.jobs.ge შემსყიდველის განცხადებების გამოქვეყნება (CPV კოდი 64216200).

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.
2.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ერთიათასი) ლარს („ხელშეკრულების ფასი").

მუხლი 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;
4.2. შემსყიდველი პასუხისმგებელია მის მიერ წარდგენილი მასალების სრულყოფილებაზე, სისწორესა და შესაბამისობაზე.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად
4.5. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

5.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 15%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 1 მარტიდა და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 9. დავათა განხილვის წესი

9.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ზოგადი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

10.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

10.3. ხელშეკრულების გაწყვეტის ინიციატორი ვალდებულია, სულ მცირე 30 დღით ადრე, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

10.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ჯ. ჯანაშია	ა. ხუბულავა
დირექტორი	დირექტორი
	ბ.ა.